AKADEMOS

ქ. თბილისი

30 დეკემბერი 2021 წ.

ბრძანება N2-95-21

შპს ,,აკადემოსის'' კათედრის დებულების დამტკიცების შესახებ

შპს ,,აკადემოსის დებულების მე-5 მუხლის მე-5 პუნქტისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად,

ვბრძანებ:

1. დამტკიცდეს შპს ,,აკადემოსის'' კათედრის დებულება და ჩამოყალიბდეს ამ ბრძანების დანართის შესაბამისად;
2. დაევალოს სკოლის საქმისმწარმოებელს ამ ბრძანების შესრულების მიზნით შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება.
3. ახალი კათედრის დებულების ძალაში შესვლისთანავე მოქმედი დებულება გამოცხადდეს ძალადაკარგულად.
4. ბრძანება ძალაში შედის 2022 წლის 01 იანვრიდან;
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მის.: დავით აღმაშენებლის ხეივანი N64).

შპს ,,აკადემოსის''
დირექტორი **/თამარ ჩანტლაძე/**

დამტკიცებულია შპს „აკადემოსის"
დირექტორის 2021 წლის 30 დეკემბრის N2-95-21 ბრძანებით

შპს „აკადემოსის"
კათედრის დებულება

თბილისი
2021

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

კათედრა თავის საქმიანობას წარმართავს, ,,ზოგადი განათლების შესახებ'' საქართველოს კანონის, ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების, ეროვნული სასწავლო გეგმის, „მასწავლებლის პროფესიული სტანდარტის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2008 წლის 21 ნოემბრის N1014 ბრძანების, შპს ,,აკადემოსის“ წესდების, შინაგანაწესისა და ამ დებულების შესაბამისად.

მუხლი 2. კათედრის მიზნები და ამოცანები

კათედრის მიზნები და ამოცანებია:

2.1 სწავლება/სწავლის თანამედროვე მეთოდებისა და მიდგომების პრაქტიკაში დანერგვა;

2.2 სახელმძღვანელოების, სასწავლო რესურსების ეფექტურად შერჩევა და დამტკიცება;

2.3 დამატებითი სასწავლო რესურსების მოძიება და ეფექტური გამოყენება;

2.4 პედაგოგთა სასწავლო პროგრამის შესაბამისობა ეროვნული სასწავლო გეგმის სტანდარტთან;

2.5 პედაგოგთა შორის ურთიერთთანამშრომლობის განვითარება;

2.6 პედაგოგთა პროფესიული განვითარება;

2.7 პედაგოგთა საქმიანობის მონიტორინგი და შეფასება.

მუხლი 3. კათედრის წევრობა

3.1. შპს ,,აკადემოსის“ მასწავლებლები ვალდებულნი არიან საგნობრივი ჯგუფის მიხედვით გაერთიანდნენ შესაბამის კათედრაში. ისინი თანასწორობის საფუძველზე მონაწილეობენ კათედრის სხდომებზე;

3.2. კათედრის სხდომა გაიმართება სემესტრში მინიმუმ ორჯერ. კათედრის წევრები აუცილებლად შეიკრიბებიან სასწავლო წლის დაწყებამდე.

3.3. საჭიროების შემთხვევაში, კათედრის წევრთა 1/3-ის ან დირექტორის მოთხოვნით, შესაძლებელია ჩატარდეს კათედრის რიგგარეშე სხდომა.

3.4 რიგგარეშე სხდომის შესახებ კათედრის წევრები გაფრთხილებულნი უნდა იყვნენ სამი სამუშაო დღით ადრე, განსახილველი საკითხების მითითებით;

3.5 რიგგარეშე სხდომის მოწვევის ორგანიზება ევალება კათედრის თავმჯდომარეს.

მუხლი 4. კათედრის წევრის უფლებები და მოვალეობები

1. კათედრის წევრს უფლება აქვს:

ა) კათედრის სხდომაზე გადაწყვეტილების მიღებისას ისარგებლოს ხმის უფლებით;

ბ) შევიდეს ინიციატივებით სხდომაზე და განხილვაზე დააყენოს მისთვის საინტერესო საკითხი;

გ) მონაწილეობა მიიღოს კათედრის სამუშაო გეგმის შემუშავებაში;

2. კათედრის წევრი ვალდებულია:

ა) დაესწროს კათედრის სხდომებს (თუ არ არსებობს გაცდენის ობიექტური მიზეზი: ავადმყოფობა, ოჯახური მიზეზი და ა.შ.);

ბ) მონაწილეობა მიიღოს სახელმძღვანელობის, საგანმანათლებლო რესურსების შერჩევაში;

გ) იზრუნოს კათედრის ეფექტურად ფუნქციონირებაზე და ჯეროვნად შეასრულოს სხდომაზე მიღებული გადაწყვეტილებები;

დ) მონაწილეობა მიიღოს სწავლების ახალი მეთოდების დანერგვაში;

ე) იზრუნოს საკუთარი და კათედრის წევრების პროფესიულ განვითარებაზე.

მუხლი 5. კათედრის ფუნქციები

კათედრის ფუნქციებია:

ა) საგნობრივი ჯგუფის საგნის/საგნების სწავლების კოორდინირების განხორციელება;

ბ) სწავლა-სწავლების თანამედროვე მეთოდოლოგიებისა და მიდგომების დანერგვასთან დაკავშირებით რეკომენდაციების შემუშავება.

გ) კათედრის წევრთა შორის გამოცდილების გაზიარება, წარმატებების წინაპირობათა განსაზღვრა და პრობლემების გადაჭრის გზების ძიება;

დ) საგაკვეთილო პროცესისთვის, მასწავლებელთა პროფესიული განვითარებისა და სასკოლო ბიბლიოთეკისთვის საგანმანათლებლო რესურსების შერჩევა და პედაგოგიური საბჭოსთვის წარდგენა;

ე) სხვა კათედრებთან კოორდინირებული მუშაობა (მაგ., ისტორიასა და ქართულ ენასა და ლიტერატურაში საერთო თემატიკის შეთანხმება, ექსკურსიებზე საერთო დავალებების მოფიქრება და სხვ.);

ვ) მასწავლებლის პროფესიულ განვითარებაზე ზრუნვა;

ზ) თითოეული მასწავლებლის მიერ კლასების მიხედვით ჩატარებული შემაჯამებელი დავალებების ანალიზის დროს წარმოშობილი პრობლემის განხილვა/გადაჭრა.

მუხლი 6. კათედრის თავმჯდომარის არჩევის წესი

6.1 კათედრის თავმჯდომარეს ერთი წლის ვადით ირჩევენ კათედრის წევრები, სასწავლო წლის დასაწყისში ფარული კენჭისყრით;

6.2 ერთი და იმავე პირის არჩევა კათედრის თავმჯდომარედ შესაძლებელია ზედიზედ მხოლოდ სამჯერ.

6.3 კათედრის თავმჯდომარის წარდგენის უფლება აქვს მხოლოდ კათედრის წევრებს.

მუხლი 7. კათედრის თავმჯდომარის ფუნქციები

კათედრის თავმჯდომარე:

7.1 უძღვება კათედრის სხდომებს;

7.2.კათედრის მიმდინარე საქმიანობის შესახებ ინფორმაციას აწვდის შესაბამის უფლებამოსილ პირს;

7.3. უზრუნველყოფს კათედრის სხდომების ორგანიზებას და დროულ ჩატარებას;

7.4. უზრუნვრელყოფს კათედრის სამუშაო გეგმის შესრულებას და გაწეული საქმიანობის მონიტორინგს;

7.5.უზრუნველყოფს კათედრის ეფექტურად ფუნქციონირებას და მისი განვითარებისთვის სხვადასხვა ღონისძიების (ინტეგრირებული გაკვეთილები, ღია გაკვეთილები, მრგვალი მაგიდები და სხვა) ჩატარებას;

7.6.კოორდინირებას უწევს კათედრის მუშაობას და უზრუნველყოფს ფუნქციების ეფექტურად გადანაწილებას კათედრის წევრთა შორის;

7.7.წარუდგენს წინადადებას და რეკომენდაციებს (პედაგოგთა რეიტინგის, წახალისების მექანიზმების, ექსპერტთა მოწვევის, ტრენინგებისა და სხვა ღონისძიებების შესახებ) სკოლის დირექციას;

7.8. ხელს შეუწყობს კათედრებს შორის ეფექტური თანამშრომლობის ჩამოყალიბებას;

7.9. აწარმოებს კათედრის დოკუმენტაციას;

7.10.ესწრება კათედრაში შემავალი მასწავლებლების მიერ ჩატარებულ გაკვეთილებს ან შესაბამისი მიმართულებით განსაზღვრავს პირს, რომელიც დაესწრება მასწავლებელს გაკვეთილზე;

7.11.მასწავლებლისა და დირექციის ურთიერთობის დროს არსულებს შუამავლის როლს;

7.12.აქტიურ მონაწილეობას იღებს სკოლის პოლიტიკის შემუშავებისა და დანერგვის პროცესში;

7.13.კათედრის ხელმძღვანელის პორტფოლიო უნდა მოიცავდეს შემდეგ დოკუმენტებს:

- კათედრის სამოქმედო გეგმას;
- კათედრის დებულებას;
- შეფასების კომპონენტებს შესატყვისი რუბრიკებით;
- შემაჯამებელი დავალების ანალიზებს გარდა დაწყებითი საფეხურისა;
- კათედრის შეხვედრის ამსახველ ოქმს.

მუხლი 8. კათედრის სხდომა და გადაწყვეტილების მიღების წესი

8.1 კათედრა უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება თუ კათედრის სხდომას ესწრება კათედრის წევრთა სრული შემადგენლობის არანაკლებ 2/3;

8.2 კათედრის სხდომა გადაწყვეტილებას იღებს დამსწრეთა ხმათა უმრავლესობით;

8.3 ხმების თანაბარი რაოდენობით გაყოფის შემთხვევაში გადამწყვეტია კათედრის თავჯმდომარის ხმა.

8.4. საგნობრივი კათედრის მიერ ჩატარებული თითოეული სხდომა უნდა დასტურდებოდეს შესაბამისი ოქმით;

8.5. საგნობრივი კათედრა საჭიროებიდან გამომდინარე შესაძლებელია შეიკრიბოს

დისტანციურად საქართველოს მთავრობის 2020 წლის 23 მაისის N322 დადგენილებით დამტკიცებული „იზოლაციისა და კარანტინის წესების“ მე-3 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად.

მუხლი 9. კათედრის დებულების დამტკიცება და ცვლილლების შეტანა

9.1 სკოლის კათედრის დებულებას შეიმუშავებს და ბრძანებით ამტკიცებს დირექტორი.

9.2 სკოლის კათედრის დებულების მიღება, გაუქმება, მასში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხორციელდება ამ მუხლის პირველ პუნქტში მითითებული წესით.